

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „სამართლებლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილი კანონის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დარეგულირებული რიგი საპროცესო ურთიერთობების დახვეწას.

პროექტით შემოთავაზებულია სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის დამრღვევ პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების ეფექტური მექანიზმი. მოცემული ცვლილებებით გათვალისწინებულია მოსამართლის უფლებამოსილება, ზედმეტი ფორმალური პროცედურების დაცვის გარეშე, ამავე დროს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით, განახორციელოს პროცესის განმავლობაში სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვა და დამრღვევი პირების მიმართ როგორც კონკრეტული ფულადი ჯარიმების დაკისრება, ასევე განსაკუთრებულ შემთხვევაში 30 დღე-ღამემდე პატიმრობის გამოყენება.

პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ასევე გამომდინარეობს საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 24 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებიდან, რომლის მიხედვითაც საწარმოს რეგისტრაციის უფლებამოსილება გადაეცა საგადასახადო ორგანოებს. აღნიშნული ცვლილებების მიღების პარალელურად არ იქნა ცვლილებები შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და კოდექსიდან არ იქნა ამოღებული ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის წესს. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და XLI თავის ამოღებას.

კოდექსში 443-ე მუხლის დამატება განპირობებულია საოლქო სასამართლოში განსახილველ საქმეთა დიდი ოდენობით. ამასთან, შეიმჩნევა საოლქო სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი დროებითი ღონისძიების სახით ითვალისწინებს საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში სააპელაციო საჩივრების კოლეგიურად განხილვის პრინციპის შეცვლას და აღნიშნული საქმეების ერთპიროვნულად განხილვის მექანიზმის შემოღებას. ამასთან, ეს ნორმა შეეხება კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებსა და იმ ქონებრივ სამართლებრივ დაეებს, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს.

გარდა ზემოაღნიშნულისა პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის განხილვის წესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და მის დაზუსტებას.

კანონის პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი საფინანსო-ეკონომიკურ დანახარჯებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.